

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N9 - იმეილ ბანკი

1. იმეილ ბანკთან დაკავშირებული სპეციფიკური დეფინიციები:
 - 1.1. **SOLO კლიენტი** - SOLO ანგარიშთა პაკეტის მფლობელი ფიზიკური პირი.
2. იმეილ ბანკის საშუალებით, **კლიენტი** უფლებამოსილია **განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, **განაცხადშივე** მოცემული **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე, **ბანკს** მისცეს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოპერაციების** შესახებ **დავალება** (დავალება შესაძლოა გაიცეს ზეპირად, სატელეფონო კომუნიკაციის ფორმით) ან/და ამ **დანართის მე-11 პუნქტით** განსაზღვრული წესით, მოახდინოს **დავალების** დადასტურება.
3. იმეილ ბანკის საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
 - 3.1. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**);
 - 3.2. **მუდმივი საგადახდო დავალების** აქტივაცია/დეაქტივაცია;
 - 3.3. **ავტომატური გადახდის** აქტივაცია/დეაქტივაცია/რედაქტირება;
 - 3.4. **კლიენტის ანაბარზე** თანხის შეტანა;
 - 3.5. **ბარათის** პრიორიტეტულობის ცვლილება;
 - 3.6. **საბარათე ანგარიშზე** ძირითადი ვალუტის ცვლილება;
 - 3.7. **საკრედიტო ბარათზე** ჩარიცხვა (მიმდინარე გადასახადის დაფარვა)/ **საკრედიტო ბარათის ლიმიტის** შემცირება;
 - 3.8. სესხის დაფარვა (არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი, საბლანკო სესხის ძირის შემცირება, წინსწრებით დაფარვა), **გრაფიკის** ცვლილება, საშეღავათო პერიოდის დაშვება /გაუქმება;
 - 3.9. **კრედიტზე** გადახდის თარიღის/**გრაფიკის** ცვლილება;
 - 3.10. საბანკო დოკუმენტაციის (**ამონაწერი, გრაფიკი, რეკვიზიტები, swift, სავალუტო გადარიცხვის/** ჩარიცხვის მარშრუტის შესახებ ინფორმაცია) მიღება;
 - 3.11. **ბარათის** (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა/განახლება/ახალ **ანგარიშზე** რეგისტრაცია, **ბარათის** დაზღვევის აქტივაცია, ასევე, **ბარათის ადგილზე მიტანის სერვისით** სარგებლობა გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათების** ტიპებისა.
 - 3.12. სადებოზიტო სერტიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა;
 - 3.13. ანაბრის გახსნა/დახურვა/კონვერტაცია;
 - 3.14. **კლიენტის** დაფიქსირება, **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად.
4. იმეილ ბანკის საშუალებით **SOLO კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
 - 4.1. **კრედიტის** (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი, მათ შორის **ოვერდრაფტი**, და ანაბრით/სადებოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილი სესხი) მოთხოვნა;
 - 4.2. **კრედიტის** (მათ შორის **მესამე პირის კრედიტის**) წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვა;
 - 4.3. **კრედიტზე** გადახდის თარიღის/**გრაფიკის** ცვლილება;
 - 4.4. **საკომისიოს** ჩამოჭრაზე **ანგარიშ(ებ)ის** რიგითობის/პრიორიტეტულობის განსაზღვრა/ცვლილება;
 - 4.5. **Priority Pass** ბარათის შეკვეთა/დაბლოკვა/გაუქმება;
 - 4.6. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**), ასევე **გადარიცხვები** სხვა ბანკ(ებ)ში, **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად;

- 4.7. კომუნალური და სხვა სახის გადასახადების გადახდა (გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის ან/და მასთან ასოცირებული ელექტრონული საფულის შევსება);
- 4.8. **საგადახდო დავალების გაუქმება;**
- 4.9. **ინტერნეტ-ბანკის დეაქტივაცია;**
- 4.10. **SMS ბანკის რედაქტირება (ფინანსური ნომრის ცვლილების გარდა)/დეაქტივაცია;**
- 4.11. **ბარათის დაცვის მომსახურების აქტივაცია/დეაქტივაცია;**
- 4.12. **ბარათის (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა ან/და განახლება, გარდა ბანკის მიერ განსაზღვრული ბარათების ტიპებისა; ასევე, დაადასტუროს და დაეთანხმოს ანაზრის გირავნობის ხელშეკრულების პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო ბარათს.**
- 4.13. **ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა;**
- 4.14. **ბარათზე პინ კოდის აღდგენა;**
- 4.15. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით სარგებლობა;**
- 4.16. საბარათე ანგარიშზე ძირითადი ვალუტის ცვლილება;
- 4.17. **ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოჭრის (დადებითი ნაშთ(ებ)იდან ან ოვერდრაფტ(ებ)იდან) პრიორიტეტულობის ცვლილება;**
- 4.18. საკრედიტო ბარათზე დაანგარიშების თარიღის ცვლილება;
- 4.19. საკრედიტო ბარათის ლიმიტის ცვლილება (გაზრდა/შემცირება);
- 4.20. **ანგარიშის გახსნა/დახურვა;**
- 4.21. ანაზრის გახსნა/დახურვა, ანაზრზე თანხის დამატება (მათ შორის მესამე პირის ანაზრზე)/პირობების ცვლილება;
- 4.22. სადეპოზიტო სერთიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა (**ბანკში დადგენილი ლიმიტების შესაბამისად**);
- 4.23. **ელექტრონული ყულაბის აქტივაცია/დეაქტივაცია**
- 4.24. **მუდმივი საგადახდო დავალების აქტივაცია/რედაქტირება/დეაქტივაცია;**
- 4.25. **ავტომატური გადახდის აქტივაცია/რედაქტირება/დეაქტივაცია;**
- 4.26. ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.27. PLUS ქულების კატალოგის საჩუქარში გადაცვლა/საჩუქარში გადაცვლის გაუქმება;
- 4.28. დაგროვებითი პროგრამა Membership Reward-ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.29. Membership Reward ქულების განკარგვა (მათ შორის გაჩუქება);
- 4.30. Membership Reward ქულების კატალოგის საჩუქარში გადაცვლა/საჩუქარში გადაცვლის გაუქმება;
- 4.31. საკრედიტო შენატანის დაზღვევის აქტივაცია/გაუქმება;
- 4.32. **ანგარიშთა პაკეტის აქტივაცია/გაუქმება;**
- 4.33. **იმეილ ბანკის გაუქმება;**
- 4.34. **3D უსაფრთხოების სერვისის აქტივაცია/დეაქტივაცია**
- 4.35. **SOLO კლიენტის სარეგისტრაციო მონაცემების (მისამართი, ელ ფოსტა, ფინანსური ნომერი) ცვლილება/დამატება;**
- 4.36. **იმეილ ბანკის განაცხადში დაფიქსირებული ელ. ფოსტის ცვლილება, ახალი ელ. ფოსტის დამატება/ცვლილება/გაუქმება;**
- 4.37. ამონაწერის/საბუთის ასლის მიღება;
- 4.38. ცნობის დამზადება (**ბანკის მიერ განსაზღვრული ცნობის ტიპების შესაბამისად**);
- 4.39. ინდივიდუალური ტარიფების განსაზღვრა;
- 4.40. თანხმობა სოლო ფემილი (SOLO Family) პაკეტის აქტივაცია;
- 4.41. საბავშვო ანაზრის (დეპოზიტის) დარღვევა, **ბანკში დადგენილი ლიმიტების შესაბამისად**;
- 4.42. School Card-ის განახლება/გაუქმება;
- 4.43. School Card-ზე განაღდების/გადახდის ლიმიტის ცვლილება;
- 4.44. არასრულწლოვანის **ანგარიშებს** (მათ შორის School Card-ის) შორის თანხის **გადარიცხვა/კონვერტაცია/სხვა ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა, ბანკში დადგენილი ლიმიტების შესაბამისად**;
- 4.45. იპოთეკის მოხსნის მოთხოვნის **განაცხადის** დადასტურება;



- 4.46. ფულადი გზავნილის რედაქტირება;
- 4.47. ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის პირობების ცვლილება;
- 4.48. კლიენტის დაფიქსირება, ბანკის სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად.
5. ბანკი კლიენტს სთავაზობს იმეილ ბანკით მომსახურებას საბანკო დღის (გარდა ბანკის მიერ დადგენილი გამონაკლის(ებ)ისა) განმავლობაში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ ნებისმიერი მიზეზით დროებით შეფერხებულია ელექტრონულ ფოსტასთან კავშირი.
6. განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია ჩაითვლება კლიენტის მხრიდან განხორციელებულ კომუნიკაციად და კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ კომუნიკაციაზე, დავალებაზე რომელიც განხორციელდება აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.
7. იმეილ ბანკით მომსახურებით თითოეულ ჯერზე სარგებლობისას აუცილებელია კლიენტმა, გაიაროს იდენტიფიკაცია, ბანკში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
8. კლიენტის იდენტიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დიჯიტალური დაგენირებული ერთჯერადი კოდით, კლიენტის ფინანსურ ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდით, ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით ბანკის მოთხოვნის შესაბამისად.
9. იდენტიფიკაციის წარმატებით გავლის შემდეგ კლიენტი პასუხისმგებელია მის მიერ გაცემულ ნებისმიერ დავალებაზე იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აღნიშნული დავალებები არ იყო გაცემული კლიენტის მიერ ან გაცემულია კლიენტის ავტორიზაციის გარეშე.
10. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს იმეილ ბანკით არა ავტორიზებული სარგებლობაზე ექვის ან რეალური ფაქტების შესახებ ან იმის შესახებ, რომ შესაძლოა მესამე პირს ჰქონოდა ან ჰქონდეს გარკვეული წვდომა განაცხადში დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტასთან.
11. ბანკი უფლებამოსილია ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი ან/და სატელეფონო კომუნიკაციით მიღებული დავალება გადაიტანოს ბანკისთვის სასურველ ფორმაში (მათ შორის: WORD; PDF და ა.შ.), გაუგზავნოს აღნიშნული სახის დავალება კლიენტს განაცხადში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოსთხოვოს კლიენტს მისი დადასტურება საპასუხო ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით. კლიენტის მხრიდან დასტური უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის დღის 18:00 საათამდე (SOLO კლიენტისთვის გამონაკლისია კრედიტზე გადახდის თარიღის/გრაფიკის ცვლილება და საკრედიტო შენატანის დაზღვევის აქტივაცია, აღნიშნული ოპერაციების დადასტურება SOLO კლიენტს შეუძლია შეტყობინების გაგზავნის დღის მომდევნო საბანკო დღის 18:00 საათამდე), წინააღმდეგ შემთხვევაში დავალება გაუქმდება ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.
12. კლიენტის მიერ დავალების დადასტურებას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა;
13. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განუცხადოს კლიენტს იმეილ ბანკით მომსახურებაზე, ყოველგვარი დასაბუთებების გარეშე.
14. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ოპერაციის შესრულებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის შედეგად კლიენტისთვის წარმოშობილ ნებისმიერ ზარალზე/ზიანზე ან/და სხვა დამატებით ხარჯებზე, რომელიც გამოწვეულია რაიმე სახის ტექნიკური ან/და მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად.
15. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების პირობები, მათ შორის, ოპერაციის ჩამონათვალი, ოპერაციის დადასტურების მეთოდი, ან შეზღუდოს ცალკეული ტიპის ოპერაციების შესრულება.